ელენე ბარბაქაძე

დარმშტადტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტი, გერმანია

,,ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც ავირჩიე კავკასიის უნივერსიტეტი, გარდა ხარისხიანი განათლებისა, იყო სურვილი მიმეღო მონაწილეობა ერასმუსის გაცვლით პროგრამაში და მესწავლა ევროპაში.

2023-2024 წლის ზამთრის სემესტრში ვიმყოფებოდი გერმანიაში, ქალაქ დარმშტადტში. ვსწავლობდი დარმშტადტის გამოყენებით მეცნიერებათა უნივერსიტეტში. ეს იყო ერთ-ერთი საუკეთესო და ამავდროულად, შთაბეჭდილებებით აღსავსე პერიოდი ჩემს ცხოვრებაში. განსხვავებული გარემო, საუკეთესო ლექტორები და ურთიერთობა სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანებთან.

მიუხედავად ბევრი სირთულეებისა და გამოწვევებისა, ერასმუსის პროგრამა დამეხმარა როგორც უცხო გარემოსთან სწრაფ ადაპტაციაში, ასევე დამოუკიდებლად გადაწყვეტილებების მიღებაში და ევროპული კულტურის შეცნობაში. შთაბეჭდილებებით სავსე იყო გერმანიის ულამაზესს ქალაქებში მეგობრებთან ერთად მოგზაურობა და ზამთრის არდადეგების ავსტრიაში გატარება.

ვფიქრობ, ეს არის უდიდესი გამოცდილება, რომელიც რაც შეიძლება მეტმა სტუდენტმა უნდა გამოცადოს. ერასმუსის გაცვლითი პროგრამა გარდა დაუვიწყარი მოგონებებისა, სტუდენტებს გვაძლევს განვითარების საშუალებას, როგორც პიროვნული ისე პროფესიული კუთხით.''